

ნახევარფინალში – ცხარე ბრძოლით

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 30 მარტი.

“დინამო” (თბილისი) – “ფახთაქორი” (ტაშკენტი) 2:1 (0:0, 1:1, 1:0, 0:0).

“დინამო”: გაბელია, გ. მაჩაიძე (კოსტავა), ჩივაძე, სულაქველიძე, ჭილაია, დარასელია (ქორიძე), მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გუცაევი, ყიფიანი, ჩელეზაძე.

“ფახთაქორი”: იანოვსკი, დენისოვი, ენსი, ნიკიფორენკო, ნეჩაევი, სოლოვიოვი, კუხლევესკი (კიმი), ფაიზიევი, შაიმარდანოვი, ნართჯაევი, ამრიევი (ნოვიკოვი).

მსაჯი: ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

გულები: ამრიევი (50-ე წ.), ჩელეზაძე (96, 101).

ამ მატჩში ყველაფერი ალოგიკური ჩანდა – 50-ე წუთზე “დინამოს” კარში გატანილი გოლიც, ის ვითარებაც, რომ მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე თასის შარშანდელი მფლობელი საკუთარ მინდორზე აგებდა ერთი წლის წინათ შეკოწიწებულ გუნდთან.

ფეხბურთში ყველაფერი ხდება, ამბობენ. ხდება, მაგრამ ძნელია დაივიწყო ერთი გარემოება – ბოლო ოთხი წლის “დინამო” ქვეყნის არც ერთ საკლუბო გუნდთან არ დამარცხებულა თბილისში.

მატჩის შემდეგ, როცა ყველაფერი დასრულებული იყო, როცა დინამოელებს სსრ კავშირის თასის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოპოვებული ჰქონდათ, უკვე მშვიდად, ემოციების გარეშე ვიხსენებდი 120-წუთიანი ორთაბრძოლის დეტალებს.

პირველ ტაიმში ფახთაქორის” კართან ერთადერთი საგოლე სიტუაცია შეიქმნა. ეს იყო და ეს. ტერიტორიული უპირატესობა თბილისელთა მხარეს იყო, მაგრამ ეს ამბავი ფეხბურთში ხშირად ცოტას ფასობს, მით უფრო მაშინ, როცა ცალკეულ რგოლებს შორის კავშირი დარღვეულია და მთლიანად კოლექტივის მოქმედებაში არ იგრძნობა ერთიანი აზრი. რამდენჯერმე კარგად ითამაშა დარასელიამ, რამდენიმე კარგი გადაცემა შეასრულა ჩელეზაძემ. სულ ამით შეიძლება ამოიწუროს “დინამოს” მარგი ქმედების კოეფიციენტი პირველ ორმოცდახუთ წუთში. განაპირა მცველები იშვიათად ერთვებოდნენ იერიშებში და თუ ერთვებოდნენ, ისე ინერტულად, რომ სტუმართა კარისთვის ამას სერიოზული უსიამოვნების მოტანა არ შეეძლო.

“ფახთაქორმა” აქცენტი, ბუნებრივია, კონტრშეტევებზე აიღო, ძირითად ობიექტად კი “დინამოს” დაცვის მარჯვენა ფლანგი აირჩია. პირველ ტაიმში ამ გეგმას სტუმართათვის წარმატება არ მოუტანია, მაგრამ ის რამდენიმე სახიფათო მომენტიც, სწორედ ამ უბანზე წამოწყებული იერიშის შედეგი იყო.

საერთოდაც, და განსაკუთრებით კი მოგებული მატჩების შემდეგ, იშვიათად ვამახვილებთ ხოლმე ყურადღებას საკუთარ შეცდომებზე – კარგის თქმა ხომ ბევრად სასიამოვნოა. ალბათ, იძულებითი იყო გოჩა მაჩაიძის მარჯვენა მცველის პოსტზე თამაში, თორემ სპეციალისტებმა და გულშემატკივრებმაც კი კარგად იციან, რომ გ. მაჩაიძე ბევრად უკეთ მოქმედებს დაცვის მარცხენა ფლანგზე. ესეც არ იყოს, სპორტსმენი მინდორზე ჯერ კიდევ მოუშუშებელი ტრავმით გამოვიდა და ყველაფერი ამის გათვალისწინება მეორე ტაიმისთვის აუცილებელი იყო.

შესვენების შემდეგ გუნდის შემადგენლობაში ცვლილება მოხდა, თუმცა ამ ცვლილებამ ზემოთქმული ხარვეზი ვერ გამოასწორა და 50-ე წუთზე ამრიევის მიერ გატანილმა გოლმაც კანონზომიერის სახე მიიღო.

ერთი გოლის გასაქვითად 40 წუთი სავსებით საკმარისი დროა კლასით მაღლა მდგომი კოლექტივისათვის. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ უფერულად ნათამაშევი

ტაიმის შემდეგ არც ისე იოლია ერთბაშად გამოასწორო ყველა წუნი, თანაც წარმატებით ფრთაშესხმული მეტოქე გაორკეცებული ენერჯით იბრძვის.

ათიოდე წუთი "დინამო" უშედეგოდ ცდილობს თამაშის მოწესრიგებას, მერე კი უკანასკნელ საშუალებას მიმართავს – შტურმით ცდილობს მეტოქის დათრგუნვას. ბოლოს საამისო რესურსებიც ამოიწურა და თასის მფლობელს სენსაციური მარცხის აშკარა საფრთხე დაემუქრა.

აქ ცოტა ხნით ისევ მატჩის პირველ ტაიმსა და მეორე ტაიმის დასაწყისს დავუბრუნდეთ. შეხვედრის პირველი წუთებიდანვე სტუმრებმა პერსონალური მეთვალყურეები მიუჩინეს ჩელებამეს (ნიკიფორენკო), ყიფიანსა (ნართაჯიევი) და გუცაევს (დენისოვი). ამ მეურვეობაში განსაკუთრებული "გულმოდგინებით" ნიკიფორენკო გამოირჩეოდა. ჩელებამემ თითქმის მთელი მატჩი მეურვის ხელების ტყვეობიდან გათავისუფლებას მოანდომა. საბოლოოდ "სამართალმა მაინც ჭამა პური". 85-ე წუთზე თბილისელ ფორვარდს ისევ უხეშად ეთამაშნენ. პენალტი დაზარალებულმა თვითონვე გაასწორა ანგარიში – 1:1.

დანარჩენი მონდომების და რომ იტყვიან, "ტექნიკის საქმე" იყო. დამატებით თხუთმეტწუთიან ტაიმებში ძალაგამოცლილი "ფახთაქორი" ადრინდელი შემართებით ვეღარ თამაშობდა. 105-ე წუთზე თბილისელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს – ჩელებამის მშვენიერი გადაცემის შემდეგ გუცაევმა ბურთი უნაკლოდვე დაუბრუნა პარტნიორს და რევაზმა თავური დარტყმით მეორე და გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

თბილისის "დინამომ" მიზანს მიაღწია – თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა. ზეგ გუნდი ქვეყნის ჩემპიონატის პირველ მატჩს თამაშობს და ამ დიდი მარათონის სტარტზე გუშინწინდელ მეტოქესთან არც თუ შთამბეჭდავმა თამაშმა უკეთესი მატჩებისთვის უნდა განაწყოს ჩვენი ფეხბურთელები.

ი. ბერიაშვილი

"ლელო", 1 აპრილი, 1980 წ.